ჯადოსნური ყვავილები

შენ, ალბათ, ყვავილები სილამაზისა და დამატკბობელი სურნელის გამო გიყვარს. თუმცა ადამიანები მათ ჯადოსნურ თვისებებსაც მიანერენ. ეს ტექსტიც ზუსტად ამაზე მოგიყვება.

ჩვენს პლანეტაზე უამრავი ყვავილია. მათ აქვთ სხვადასხვა ფერი, ფორმა, სურნელი, თვისება... ისინი ხშირად სიხარულსა და ბედნიერებას გვანიჭებენ. თუმცა ძველად სხვაგვარად ფიქრობდნენ. ადამიანებს **სწამდათ**, რომ ყვავილებს **ჯადოსნური** ძალა ჰქონდათ. ზოგს სიკეთისა და **წარმატების** მოტანა შეეძლო. ასეთ ყვავილთა რიცხვში იყო მზესუმზირაც. მისი მოწყვეტის დროს ადამიანს რამე უნდა ჩაეფიქრებინა. ამ ოცნებას კი ყვავილი აუხდენდა.

მსგავსი უნარი ჰქონდა ბევრ სხვა ყვავილსაც. ალბათ, გინახავს, რომ იის ფურცელს გულის ფორმა აქვს. ამის გამო წინათ ეგონათ, რომ იას შეეძლო **გულგატეხილი** ადამიანის დამშვიდება. ასევე მიაჩნდათ, რომ სახლის კართან ახლოს სასურველი იყო როზმარინის, საოცარი სილამაზის ვაშლის ხის, დარგვა. ამ მცენარის მოთეთრო, **არომატული** ყვავილი მეგობრობას უწყობდა ხელს. ალბათ, შენც მოგწონს ლამაზი ფორმისა და სხვადასხვა ფერის ყვავილი კალა. ძველად მას ამაგრებდნენ პატარძლის თაიგულში. ხალხის აზრით, კალას ბედნიერება მოჰქონდა. ყვითელ, წითელ და ვარდისფერ ფურისულებს კი ფერმერები ბოსელში რგავდნენ, ფერიებს რძე რომ არ მოეპარათ. ადამიანებს ასევე სჯეროდათ, რომ ყვავილი დევისპირა ადამიანებს წყევლისგან იცავდა. ტილჭირი კი მაქციებს, მგლის სახის მქონე ბოროტ არსებებს, აფრთხობდა.

ძველად სწამდათ, რომ ყვავილი ადამიანს მხოლოდ წარმატებაში არ ეხმარებოდა. მას დიდი უსიამოვნების მოტანაც შეეძლო. მაგალითად, ვინც მაისში ყვავილების გვირგვინში გუგულის ყვავილს შეურევდა, უბედურება არ ასცდებოდა. თუ ახალგაშლილ ვარდს ფურცლები სცვიოდა, ესეც უბედურების ნიშანი იყო.

გვირილის ყვავილის საშუალებით ზოგჯერ ახალგაზრდა ცდილობდა გაერკვია, უყვარდა თუ არა მის რჩეულს. ამისათვის გვირილას თითო-თითო ფურცელს აცლიდა და ჩუმად ამბობდა: „ვუყვარვარ... არ ვუყვარვარ... ვუყვარვარ... არ ვუყვარვარ...“. ბოლო ფურცელი რომელ ნათქვამსაც ემთხვეოდა, ის იყო სწორი.

ამ წარმოდგენებიდან ზოგი გაქრა, ზოგი კი დღემდე შემორჩა.

რომელმა ძველმა წარმოდგენამ მოაღწია ჩვენამდე?

არის თუ არა იგი შენთვის დამაჯერებელი? რატომ?

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 რომელი წინადადება გადმოსცემს ფაქტს?

ა) ყვავილების უმეტესობა ადამიანს, ალბათ, სიკეთის მომტანად მიაჩნდა.

ბ) ჩვენი აზრით, ზოგი ძველი წარმოდგენა ყვავილზე დღემდეა შემორჩენილი.

გ) ძველად ადამიანებს სწამდათ, რომ ყვავილს ჯადოსნური ძალა ჰქონდა.

2 რომელი წინადადება გადმოსცემს მოსაზრებას?

ა) ვფიქრობ, ყველას უნახავს სხვადასხვა ფერის კალა.

ბ) იყო დრო, ადამიანებს უცნაური მაქციების სჯეროდათ.

გ) წინათ როზმარინის ბუჩქს სახლთან ახლოს რგავდნენ.

3 ძველი წარმოდგენით, ბედნიერების მომტანი იყო ყვავილი:

ა) დევისპირა.

ბ) კალა.

გ) ტილჭირი.

4 ტექსტში გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, თუ:

ა) რატომ აქვს იის ფურცლებს გულის ფორმა.

ბ) რატომ აშინებდა მაქციებს ტილჭირი.

გ) რატომ რგავდნენ ფურისულას ბოსელში.

5 ტექსტში <u>არ ჩანს</u> მოსაზრება იმის შესახებ, თუ:

ა) რატომ სწამდათ ძველად ყვავილების ჯადოსნური ძალის.

ბ) რა შემთხვევაში იყო უბედურების ნიშანი ახალგაშლილი ვარდი.

გ) რომელი ყვავილი უწყობდა ხელს ადამიანების დამეგობრებას.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. ადამიანებს **სწამდათ**.
   ა) ეგონათ. ბ) სურდათ. გ) სჯეროდათ.
2. ყვავილი **წარმატებასთან** იყო დაკავშირებული.
   ა) ბედნიერებასთან. ბ) წინსვლასთან. გ) სიხარულთან.
3. იას შეეძლო **გულგატეხილი** ადამიანის დამშვიდება.
   ა) აღელვებული. ბ) გაბრაზებული. გ) იმედდაკარგული.
4. ეს როზმარინის **არომატული** ყვავილია.
   ა) მძაფრი სუნის მქონე.
   ბ) სასიამოვნო სუნის მქონე.
   გ) უსიამოვნო სუნის მქონე.
5. ტილჭირი მაქციებს **აფრთხობდა.**
   ა) აბრაზებდა. ბ) აფრთხილებდა. გ) აშინებდა.

2 რომელია საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები (ანტონიმები)?

ა) გულგატეხილი – იმედიანი.

ბ) წარმატებული – გამარჯვებული.

გ) ჯადოსნური – სასწაულებრივი.

▶▶▶ გრამატიკა

1 დაწერე ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები სწორი ფორმით.

1. *(ია)* ---------- ფურცელს გულის ფორმა აქვს.
2. ზოგი ყვავილის *(ფურცელი)* ---------- ფორმა გულს გვახსენებს.

2 რომელია არასწორი?

1. ა) სურნელოვანი ყვავილები. ბ) უამრავი ყვავილები. გ) ფერადი ყვავილები.
2. ა) ძველად. ბ) წინად. გ) ხშირად.

გრამატიკა

3 დაწერე ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: ლამაზი – სილამაზე

1. კეთილი – ---------- . 2. ხშირი – ---------- .

4 რომელია სწორი?

1. ა) სიხარულს გვრის. ბ) სიხარულს ჰგვრის.
2. ა) ადამიანებს სწამდათ. ბ) ადამიანებს წამდათ.

5 დაწერე ერთი სიტყვით ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: ოდნავ თეთრი – მოთეთრო

1. ოდნავ ყვითელი – ---------- . 2. ოდნავ წითელი – ---------- .

წერა

ტექსტში მოცემული ინფორმაციის მიხედვით შეადგინე ჯადოსნური ყვავილების ცნობარი სათაურით – *ძველი წარმოდგენები ყვავილებზე*.

ჯერ ამოიწერე ყველა ყვავილის სახელი. შემდეგ დაალაგე ეს სახელები ანბანის მიხედვით და მიუწერე თითოეულ მათგანს, რა წარმოდგენა ჰქონდა მასზე ადამიანს.

მაგალითად:

1. **გვირილა** – ფურცლებს აცლიდნენ და თან იმეორებდნენ სიტყვებს: „ვუყვარვარ... არ ვუყვარვარ...“. ბოლო ფურცელი რომელ ნათქვამსაც დაემთხვეოდა, ის იყო სწორი.

გააფორმე შენი ცნობარი ნახატებით.